ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №35-110

2023 წლის 28 დეკემბერი

ქ. თბილისი

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტის – დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების“ 34-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 27/05/2016, სარეგისტრაციო კოდი: 010260030.35.101.016295) და დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 39^1 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 13^2-13^4 პუნქტები:

„13^2. ავარიული შენობა-ნაგებობის ჩანაცვლების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრის დროს, მშენებლობის ღირებულებისათვის ამ მუხლის 13^1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ოდენობისაგან განსხვავებული ოდენობა, გაითვალისწინება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იქნება წარმოდგენილი სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის შესაბამისი დასკვნა.

13^3. ავარიული შენობა-ნაგებობის ჩანაცვლების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრის დროს, ფართის რემონტისათვის ამ მუხლის 13^1 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ოდენობისაგან განსხვავებული ოდენობა, გაითვალისწინება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იქნება წარმოდგენილი სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის შესაბამისი დასკვნა.

13^4. ავარიული შენობა-ნაგებობის ჩანაცვლების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრის დროს, ბინის ქირის კომპენსაციისათვის ამ მუხლის 13^1 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ოდენობისაგან განსხვავებული ოდენობა, გაითვალისწინება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იქნება წარმოდგენილი სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის შესაბამისი დასკვნა. ამასთან, აღნიშნული ექსპერტიზის დასკვნით, ბინის ქირის კომპენსაციის ოდენობა შეფასებული უნდა იქნას ავარიული შენობა-ნაგებობის მიმდებარედ არსებული საცხოვრებელი ბინების 1 კვადრატული მეტრის ქირის საშუალო საბაზრო ღირებულების მიხედვით“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

გიორგი ტყემალაძე